

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 05 აგვისტოს #167/01/01 ბრძანების საფუძველზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №51/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის
შემაჯამებელი ოქმი #5

ქ. თბილისი

13 ოქტომბერი, 2025 წელი

თსუ XI კორპუსი, ოთახი 480

10:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის სრული შემადგენლობა (5 წევრი):

- ა) დავით ლორთქიფანიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
- ბ) თამარ წუწუნავა - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
- გ) ზურაბ ლებანიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
- დ) ნანო ხუნდაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;
- ე) ნინო ჯაფარიძე - თსუ-ს ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

დღის წესრიგი:

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია, 2 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებულების გამოვლენა;
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის დ. ლორთქიფანიძის ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან კომისიის წევრებს შეახსენა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №51/2025 დადგენილების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში; ამის შემდეგ საკონკურსო კომისიამ ჩატარა სამი სხდომა.

26.09.25. ჩატარდა კომისიის პირველი სხდომა (ოქმი #1), რომელზეც კომისიის წევრები დარწმუნდნენ, რომ საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. კომისია ამის შემდეგ შეუდგა მუშაობას. გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის 2 (ორ) ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა სამმა კანდიდატმა:

1. გურამ ქუთელია
2. ავთანდილ ოქროსცვარიძე
3. რუსუდან ჩაგელიშვილი

შეფასების I ეტაპზე შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია; მოხდა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და კონკურსანტის ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის წინასწარი შეფასება.

02.10.25. ჩატარდა კომისიის შემდეგი სხდომა (ოქმი #2), რომელზეც კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს სამივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და ამ ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შეიტანეს მონაცემები „შეფასების ფორმებში“ (დანართი N4, დადგენილება #45/2017, 01.05.2017).

შეფასებების შედეგები მოცემულია ქვევით:

1. მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის კონკურსანტის ავთანდილ ოქროსცვარიძის შეფასება.

შეფასების I კატეგორია („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“).

კონკურსანტის, ავთანდილ ოქროსცვარიძის განათლება/კვალიფიკაცია – სასარგებლო ნამარხების ძებნა-ძიება, ინჟინერ-გეოლოგი; სამეცნიერო ხარისხი – გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი – 19 წელი, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების I კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო საერთო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია („პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“).

კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (1995-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2006-2007 წლებში - თსუ-ში მოწვეულ ლექტორად; ხოლო 2012-2022 წლებში იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გეოლოგიის მიმართულებით, ხოლო 2022 წლიდან დღემდე არის იმავე უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი) შესაბამისია ვაკანსიის პროფილთან. *სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაში* მის მიერ წარმოდგენილი შრომები არ წარმოადგენს სასწავლო და მეთოდურ სახელმძღვანელოებს. კონკურსანტს ანკეტაში მითითებული აქვს, რომ მას შეუძლია 10 სასწავლო კურსის ლექციების წაკითხვა, თუმცა წარმოდგენილი აქვს მხოლოდ 6 სილაბუსები. პროფილის მიხედვით, წარმოდგენილი სილაბუსებიდან 2 სასწავლო კურსი შედის თსუ-ს გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსკულუმის საგნების ნუსხაში. თუმცა, „მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია“ თსუ-ში ისწავლება 2 სემესტრად, ხოლო წარმოდგენილია ერთსემესტრიანი კურსი. კურსის „დედამიწის ქერქის გეოქიმია“ სილაბუსი არ არის წარმოდგენილი. კონკურსანტს მითითებული აქვს 7 სასწავლო კურსი, რომელთა სწავლება თსუ-ში არ შედის გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსკულუმის საგნების ნუსხაში. მათგან წარმოდგენილი არ არის 3 კურსის სილაბუსი. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსიდან მხოლოდ 2-ია სავალდებულო, დანარჩენი არჩევით კურსებს მიეკუთვნება. შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან ერთი – „იზოტოპური გეოლოგიის საფუძვლები“, ამჟამად თსუ-ში არ ისწავლება, თუმცა შესაძლოა მომავალში ჩართული იყოს სასწავლო პროგრამაში. აღნიშნული კურსის სილაბუსი მას წარმოდგენილი არ აქვს. სილაბუსების ნაწილი შინაარსით არ არის სრულ-

ყოფილი. წარმოდგენილი 8 სილაბუსიდან 5 სილაბუსი ხარვეზებითაა შედგენილი. მთლიანობაში სილაბუსები ნაწილობრივ შესაბამისია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - „საშუალო“.

შეფასების III კატეგორია („სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“).

კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული 15 სამეცნიერო პუბლიკაცია, 2 შრომაზე კონკურსანტი მიუთითებს რომ გადაცემულია დასაბეჭდად (არ არის წარმოდგენილი გამოსაქვეყნებლად მიღების ცნობა); მოტანილია სხვა მნიშვნელოვანი 49 პუბლიკაცია (1989 წლიდან); ბოლო 6 წლის მანძილზე იგი მოხსენებით წარსდგა 12 საერთაშორისო კონფერენციაზე, არის 9 საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი (არ არის წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტები); პრეტენდენტს მიუთითებუი აქვს 3 ინტელექტუალური საკუთრება, თუმცა არ არის წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტები; ანკეტის თანახმად, ციტირების ინდექსები მოცემულია Research Gate-ის მიხედვით – 463, h-12, ხოლო Google Scholar-ის – 386, h-11. Web of Science-ის და Scopus-ის მიხედვით ციტირებები არ არის მოცემული. თანამშრომლობს

უცხოეთის 8 უნივერსიტეტთან და სამეცნიერო ცენტრთან. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი არ შეესაბამება ანკეტაში მიუთითებულ ნაშრომს. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია პროფილის შესაბამისია.

შეფასების III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“.

IV კატეგორია („ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა“ და „დამატებითი ინფორმაცია“)

წარმოდგენილია ბოლო 6 წელიწადში განხორციელებული აქტივობები:

- მისი ხელმძღვანელობით დაცული იქნა 1 სადოქტორო, 14 სამაგისტრო და 8 საბაკალავრო ნაშრომი (არ არის წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტები).
- ალ. თვალჭრელიძის სახ. საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრემია;
- სხვადასხვა ორგანიზაციის წევრობა: „ევროგრანტი“ (EG), „ევროპის გეო- მეცნიერთა კავშირი“ (EGU), „ევროპის გეოქიმიკოსთა ასოციაცია“ (EGA), „თორიუმის ენერგიის ალიანსი“ (TEA) და „მდგრადი განვითარების საერთაშორისო საზოგადოება“ (TSDS).

ანკეტის მიხედვით კონკურსანტი ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის - „მაღალი“.

2. მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის კონკურსანტის გურამ ქუთელიას შეფასება.

შეფასების I კატეგორია („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“).

კონკურსანტის, გურამ ქუთელიას განათლება/კვალიფიკაცია - ინჟინერ-გეოლოგ-გეოფიზიკოსი; სამეცნიერო ხარისხი - გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი; სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი - 27 წელი, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, შესაბამემა ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების I კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო საერთო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია („პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“).

კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება შემდეგია: 1999-2005 წლებში იგი იყო თსუ-ს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების კათედრის დოცენტი, 2006-2025 წლებში კი არის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; მისი სასწავლო-მეთოდური საქმიანობა წარმოდგენილია: 1. საძიებო გეოფიზიკის ზოგადი კურსით (ელექტრონული), 2. დედამიწის ფიზიკის კურსით (ელექტრონული) და 3. მის მიერ თარგმნილი დამხმარე სახელმძღვანელოთი (ვ. ნ. ჟარკოვის „დედამიწისა და პლანეტების შინაგანი აგებულება“). მას გავლილი აქვს ვაკანსიის პროფილის შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები/ტრენინგები. კონკურსანტს თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში წაკითხული აქვს ვაკანსიის პროფილის შესაბამისი 13 სალექციო კურსი. ანკეტაში მითითებული აქვს, რომ შეუძლია 8 სასწავლო კურსის ლექციების წაკითხვა. წარმოდგენილი აქვს სილაბუსები, გარდა ერთისა – „სასწავლო-საველე პრაქტიკა ზოგად გეოლოგიასა და საძიებო გეოფიზიკაში“. პროფილის მიხედვით წარმოდგენილი სასწავლო კურსები გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსკულუმის საგნების ნუსხაში შედის. მათგან სავალდებულო კურსებია: „საძიებო გეოფიზიკის ზოგადი კურსი 1“, „საძიებო გეოფიზიკის ზოგადი კურსი 2“, „სასწავლო-საველე პრაქტიკა ზოგად გეოლოგიასა და საძიებო გეოფიზიკაში“, „პეტროფიზიკა“ (მაგისტრატურა) და არჩევითი კურსები – „დედამიწის ფიზიკა“ და „გამოყენებითი გეოფიზიკა“. შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან ერთი – „საინჟინრო გეოფიზიკის საფუძვლები“, ამჟამად თსუ-ში არ ისწავლება, მომავალში ის შესაძლოა ჩართული იყოს სასწავლო პროგრამაში. აღნიშნული კურსის სილაბუსი მას წარმოდგენილი არ აქვს. ყველა სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან.

II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა).

კონკურსანტმა წარმოადგინა 8 პუბლიკაცია (2015 წლის შემდეგ); Google scholar-ის მიხედვით, ციტირების ინდექსია 32, h-3, g-5; ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო 2 ადგილობრივ კონფერენციაში; მითითებულილი აქვს თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან.

კონკურსანტმა საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოადგინა ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც პროფილის შესაბამისია. მისი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია მკაფიოდ გამოხატავს მის სამეცნიერო პოზიციას, მიზნებსა და შეხედულებებს.

შეფასების III კატეგორიის ერთი ნაწილის მიხედვით, არის „მაღალი“, ხოლო მეორის მიხედვით კი - „საშუალო“.

IV კატეგორია („ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა“ და „დამატებითი ინფორმაცია“).

წარმოდგენილია ბოლო 6 წელიწადში განხორციელებული აქტივობები:

- პროგრამის ხელმძღვანელი - საბაკალავრო პროგრამა „გეოლოგია“;
- თსუ აკადემიური საბჭოს წევრი;
- ზსმ ფაკულტეტის საბჭოს წევრი;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
- საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი;

- სტუდენტის მოხსენების ხელმძღვანელი;
 - სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი;
 - საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის თავმჯდომარე;
 - თსუ კოლოგიის სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს წევრობა.
- ანკეტის მიხედვით ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს, საოფისე პროგრამებს.

შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის - „მაღალი“.

3. მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის კონკურსანტის რუსუდან ჩაგელიშვილის შეფასება.

შეფასების I კატეგორია („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“).

კონკურსანტის, რუსუდან ჩაგელიშვილის განათლება/კვალიფიკაცია - სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიება და გეოლოგიური აგებმა, ინჟინერ-გეოლოგი; სამეცნიერო ხარისხი - გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი; სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი - 4 წელი, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

I კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია („პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“).

კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება შემდეგია: 2010 წელს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მოწვეული ასოცირებული პროფესორი, 2022-2025 წლებში მოწვეული ლექტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე.

კონკურსანტს ანკეტაში მითითებული აქვს, რომ მას შეუძლია 11 სასწავლო კურსის ლექციების წაკითხვა და წარმოდგენილი აქვს ყველა სილაბუსები. წარმოდგენილი სასწავლო კურსები გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსკულუმის საგნების ნუსხაში 10 კურსი შედის: სედიმენტოლოგია, მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია 1, მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია 2, ზოგადი გეოლოგია, გეოლოგიის შესავალი, სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგია, სედიმენტაციური პეტროგენეზისი, საქართველოს არალითონური საბადოები, საქართველოს ლითონური საბადოები და მეოთხეული გეოლოგია-გეომორფოლოგია. მათ შორის 7 საბაკალავრო, ხოლო 3 სამაგისტრო საფეხურებისაა. შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან ერთი - „გეოარქეოლოგია“ თსუ-ში ამჟამად არ ისწავლება, თუმცა შესაძლოა ჩართული იყოს სასწავლო პროგრამაში არჩევით საგნად. ყველა წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან.

II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა).

კონკურსანტმა წარმოადგინა 15 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში და სხვა მნიშვნელოვანი 28 პუბლიკაცია (2005 წლის შემდეგ); ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო 21 საერთაშორისო კონფერენციაში; არის 8 საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/მირიითადი შემსრულებელი (არ არის დამადასტურებელი დოკუმენტები); ანკეტის თანახმად, ციტირების ინდექსებია: Web of Science - 123, *h*-4, Scopus - 180 *h*-5, Google Scholar - 349, *h*-8 და Research Gate - 333.

თანამშრომლობს უცხოეთის 12 უნივერსიტეტთან/სამეცნიერო ცენტრთან. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ორი მაღალი სამეცნიერო მნიშვნელობის პროფილის შესაბამისი ნაშრომი. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია მკაფიოდ გამოხატავს მის სამეცნიერო პოზიციას, მიზნებსა და შეხედულებებს.

შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით, არის „მაღალი“.

IV კატეგორია („ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა“ და „დამატებითი ინფორმაცია“).

წარმოდგენილია ბოლო 6 წელიწადში განხორციელებული აქტივობები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის წევრი;
- თსუ გეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს წევრი;
- სტუდენტების საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციებზე თემის ხელმძღვანელობა;
- ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი;
- დმანისის საერთაშორისო პალეოანთროპოლოგიური საველე სკოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი;
- სამხრეთ კავკასიის ბიომრავალფეროვნების რუკის (ელექტრონული და საბეჭდი ვერსია) სამეცნიერო გუნდის ლიდერი;
- ორი ახალგაზრდა მეცნიერის გრანტის სამეცნიერო კონსულტანტი;
- სხვადასხვა გამოფენების გეოლოგიური ნაწილის სამეცნიერო კონცეფციის ავტორი და მენეჯერი;
- მარტვილის, ცაგერის, ბორჯომის და სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული გეოლოგიური კოლექციების და ელექტრონული ბაზების ერთ-ერთი ავტორი;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დოქტორანტების სასემინარო ნაშრომისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების კომისიის წევრი;
- 2023 წლიდან დღემდე მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს ICOM-ის წევრი.

ანკეტის მიხედვით კონკურსანტი ფლობს უცხო ენებს – ინგლისური (მეტყველება: B1, წერა B1), ფრანგული (მეტყველება: A1, წერა A2), რუსული (მეტყველება: B2, წერა B1); საოფისე პროგრამებს და SedLog, Photoshop.

შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის - „მაღალი“.

კონკურსანტებს მიენიჭათ პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდნენ შეფასების მეორე ეტაპზე – გასაუბრებაზე.

07.10.25. შედგა კომისიის შემდეგი სხდომა (ოქმი #3), რომელზეც ჩატარდა კომისიის წევრების გასაუბრება თითოეულ პრეტენდენტთან. გასაუბრების შედეგების მიხედვით, გაირკვა, რომ პრეტენდენტები სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციითა და პროფესიონალიზმით შეესაბამებიან საკონკურსო თანამდებობას. ისინი პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით ასევე შეესაბამებიან ამ თანამდებობას.

ა. ოქროსცვარიძე სამეცნიერო კომპონენტის მიხედვით, იმსახურებს მაღალ შეფასებას. თუმცა, წარმოდგენილი სასწავლო კურსების თსუ-ში არსებულ პროგრამასთან შესაბამისობითა და სილაბუსების შინაარსის მიხედვით არ არის სრულყოფილი. სილაბუსების შინაარსის მხრივ, დადგენილია რიგი მნიშვნელოვანი ხარვეზი. პრეტენდენტმა არ წარმოადგინა ანკეტაში მითით-

ეზული რიგი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ა. ოქროსცვარიძის კანდიდატურა ნაწილობრივ შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

გ. ქუთელია უნივერსიტეტის სტრუქტურის და მართვის სისტემის ცოდნით, წარმოდგენილი სასწავლო კურსების თსუ-ში არსებულ პროგრამასთან შესაბამისობითა და სილაბუსების შინაარსისა და დადგენილი ფორმის სრულყოფილების მიხედვით სავსებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას. თუმცა, აღინიშნა, რომ გ. ქუთელიას საერთაშორისო-სამეცნიერო კომპონენტი უფრო სუსტია პედაგოგიურ კომპონენტთან შედარებით.

რ. ჩაგელიშვილი წარმოდგენილი სასწავლო კურსების თსუ-ში არსებულ პროგრამასთან შესაბამისობითა და სილაბუსების შინაარსისა და დადგენილი ფორმის სრულყოფილების მიხედვით სავსებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას. იგი, ასევე, სამეცნიერო კომპონენტის მიხედვით მაღალ შეფასებას იმსახურებს.

ანკეტებში მითითებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, კომისიის წევრებმა სამივე პრეტენდენტს მოსთხოვეს წარმოდგინათ დამადასტურებელი დოკუმენტაცია ა.წ. ცხრა ოქტომბრის 18 სთ-მდე.

10.10.25. ჩატარდა კომისიის შემდეგი სხდომა (ოქმი #4), რომელზეც მოხდა შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერება, მოთხოვნილი დამადასტურებელი დოკუმენტების განხილვა და ბოლოს მიღებული მონაცემების საფუძველზე კენჭისყრის ჩატარება.

ავთანდილ ოქროსცვარიძის სამეცნიერო-პედაგოგიურ გამოცდილება (19 წელი) დარგის პროფილის შესაბამისია. სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაში მის მიერ წარმოდგენილი შრომები არ წარმოადგენს სასწავლო და მეთოდურ სახელმძღვანელოებს. ამასთან დაკავშირებით, კომისიის წევრებმა მას მოსთხოვეს წარმოდგინა აღნიშნული „სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოები“. მან მოთხოვნა არ შეასრულა. კონკურსანტს არ აქვს გავლილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები. კონკურსანტს ანკეტაში მითითებული აქვს, რომ მას შეუძლია 10 სასწავლო კურსის ლექციების წაკითხვა, თუმცა წარმოდგენილი ამ ათიდან აქვს მხოლოდ 6 სილაბუსი. სულ მოტანილი აქვს 8 სილაბუსი. მთლიანობაში, დგინდება, რომ ანკეტაში მითითებული სილაბუსების სასწავლო კურსები და რაოდენობა, რომლებიც მას შეუძლია წაკითხოს და მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსები და სილაბუსების რაოდენობა შეუსაბამოა ერთმანეთთან და სრულ გაუგებრობას ქმნის. გარდა ამისა, პროფილის მიხედვით, წარმოდგენილი სილაბუსებიდან მხოლოდ 2 სასწავლო კურსი შედის თსუ-ს გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსკულუმის საგნების ნუსხაში. მაგრამ, ერთ-ერთი მათგანი – „მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია“ თსუ-ში ისწავლება 2 სემესტრად, ხოლო წარმოდგენილია ერთსემესტრიანი კურსი. ყოვლად წარმოუდგენელია (!) ამ კურსის ერთ სემესტრში წაკითხვა რადგან ასეთ შემთხვევაში სილაბუსში მითითებული შედეგები ვერ იქნება მიღწეული. კონკურსანტს მითითებული აქვს 7 სასწავლო კურსი, რომელთა სწავლება თსუ-ში არ შედის გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსკულუმის საგნების ნუსხაში. მათგან წარმოდგენილი არ არის 3 კურსის სილაბუსი. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსიდან მხოლოდ 2-ია სავალდებულო, დანარჩენი არჩევით კურსებს მიეკუთვნება. შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან ერთი – „იზოტოპური გეოლოგიის საფუძვლები“, ამჟამად თსუ-ში არ ისწავლება, თუმცა შესაძლოა მომავალში ჩართული იყოს სასწავლო პროგრამაში. აღნიშნული კურსის სილაბუსი მას წარმოდგენილი არ აქვს. სილაბუსების ნაწილი შინაარსით არ არის სრულყოფილი. წარმოდგენილი 8 სილაბუსიდან 5 სილაბუსი

ხარვეზებითაა შედგენილი. მთლიანობაში სილაბუსები ნაწილობრივ შესაბამაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან.

სილაბუსის „მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია“ განხილვისას, დადგენილია შემდეგი ხარვეზები: გაუგებარია რა საფეხურის სწავლებისთვისაა იგი განკუთვნილი; გამიჯნული არაა ერთმანეთისგან სწავლების ფორმები – ლაბორატორიული სამუშაო, თუ პრაქტიკული მეცადინეობა; ძირითადი თემები არასრულყოფილადაა ჩამოთვლილი ან შეტანილია ისეთი საკითხები, რომელიც პროგრამით არ არის გათვალისწინებული, ხდება ზოგი საკითხის დუბლირება სხვა სასწავლო კურსის სილაბუსის საკითხებთან; არაფერი უწერია სწავლების შედეგად შეძენილი უნარებისა და სწავლის მეთოდების შესახებ; გაუგებრადაა წარმოდგენილი ლაბორატორიული მეცადინეობისა და შუალედური გამოცდის შეფასებები; ზეპირი გამოცდის საკითხებში საუბარია მინერალების იდენტიფიკაციაზე, ხოლო სალექციო საკითხები მხოლოდ ქანებს ეხება; ძირითად ლიტერატურაში სახელმძღვანელოდ მითითებული აქვს თავისი 40 გვერდიანი ნაშრომი; დამატებით ლიტერატურაში მითითებული 8 პუნქტიდან 3 საერთოდ არ შეესაბამება აღნიშნულ სასწავლო კურსს; დანართში ლიტერატურა ძალიან გაუგებრადაა მითითებული და მექანიკურად ჩასმულს გავს; I კვირას ლაბორატორიული მეცადინეობა ითვალისწინებს ქანების „გამჭვირვალე თლილების“ აღწერას, თუმცა მინერალები არ უსწავლიათ; მე-9 კვირას მითითებული თემის 2 სალექციო და 2 ლაბორატორიულ საათში ათვისება შეუძლებელია და შედეგი ვერ იქნება მიღწეული.

სილაბუსში „შესავალი მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია“ იგივე ხარვეზები ფიქსირდება, რაც წინაში. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მესამე კვირის ლაბორატორიული მეცადინეობისას მითითებულია აქვს შედეგი, რომელიც 2 საათის განმავლობაში ვერ მიიღება! ზოგიერთი საკითხის შესასწავლად მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურაა მითითებული.

სილაბუსის „დედამიწის ქერქის ქანები“ დანიშნულება გაუგებარია. ყველაფერი, რაც აქ არის შეტანილი, ისწავლება სხვა სასწავლო კურსების მეშვეობით. გარდა ამისა, ამ კურსის ათვისება წინაპირობის გარეშე, შეუძლებელია!

სილაბუსის „დედამიწის ქერქის გეოქიმია და იზოტოპური გეოლოგიის საფუძვლები“ მიხედვით, 14 სალექციო თემიდან იგი მხოლოდ 7 თემაში იყენებს ძირითად ლიტერატურას, დანარჩენი 7 თემის ლიტერატურა მხოლოდ ინგლისურენოვანია; სემინარები არ არის გაწერილი არც თემების და არც საათების მიხედვით.

სილაბუსში „დედამიწა და თანამედროვე ცივილიზაციის მინერალური რესურსები“ მითითებულია 3 ძირითადი ლიტერატურა, რომელთაგან 1 არ შეესაბამება თემას, ხოლო მეორე არ არის სახელმძღვანელო; სემინარები არ არის გაწერილი არც თემების და არც საათების მიხედვით.

საბაკალავრო საფეხურის სილაბუსში „მინერალური რესურსები: აღმოჩენიდან მოპოვებამდე“ წინაპირობად მითითებულია სამაგისტრო საფეხურის სასწავლო კურსი „გეოქიმია“; ლიტერატურაში მითითებულია კონკურსანტის საკუთარი ლექციები, რომლებიც კომისიის მოთხოვნის მიუხედავად მან არ წარმოადგინა; ზოგიერთი საკითხის შესასწავლად მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურაა მითითებული; სემინარები არ არის გაწერილი არც თემების და არც საათების მიხედვით.

სილაბუსში „მადნიან საბადოთა გეოლოგია“, რომელიც განკუთვნილი აქვს მაგისტრატურის საფეხურისთვის, მითითებულია შეუსაბამო წინაპირობა; ზოგიერთი საკითხის შესასწავლად მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურაა მითითებული; სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია სახელმძღვანელოები, რომლებიც მისი სილაბუსების მიხედვით უკვე გაიარეს ბაკალავრიატის საფეხურზე; სემინარები არ არის გაწერილი არც თემების და არც საათების მიხედვით. იგივე შენიშვნებია სილაბუსისთვის „ოროგენები და ოროგენული სტრუქტურები“.

კურსის „დედამიწის ქერქის გეოქიმია“ სილაბუსი არ არის წარმოდგენილი.

ა. ოქროსცვარიძე სამეცნიერო კომპონენტის მიხედვით, იმსახურებს მაღალ შეფასებას. კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული 15 სამეცნიერო პუბლიკაცია (2 შრომაზე არ არის წარმოდგენილი გამოსაქვეყნებლად მიღების ცნობა); მოტანილია სხვა 49 პუბლიკაცია (1989 წლიდან); ბოლო 6 წლის მანძილზე იგი მოხსენებით წარსდგა 12 საერთაშორისო კონფერენციაზე, არის 9 საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი (თუმცა ეს ინფორმაცია არ არის სარწმუნო, რადგან არ არის წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტები); პრეტენდენტს მითითებული აქვს 3 ინტელექტუალური საკუთრება, ამ შემთხვევაშიც არ არის წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტები; ანკეტის თანახმად, ციტირების ინდექსები მოცემულია Research Gate-ის მიხედვით – 463, h-12, ხოლო Google Scholar-ის – 386, h-11. Web of Science-ის და Scopus-ის მიხედვით ციტირებები არ არის მოცემული. თანამშრომლობს უცხოეთის 8 უნივერსიტეტთან და სამეცნიერო ცენტრთან. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი არ შეესაბამება ანკეტაში მითითებულ ნაშრომს. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილ კონცეფციაში ა. ოქროსცვარიძე ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი ბაზის შექმნაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, გეოლოგიის პოპულარიზაციაზე, სამეცნიერო პროექტების კონკურსებში მონაწილეობის აუცილებლობაზე.

ა. ოქროსცვარიძის ხელმძღვანელობით ბოლო 6 წლის განმავლობაში დაცულ სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომებზე ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტები კონკურსანტმა არ წარმოადგინა.

ა. ოქროსცვარიძეს მიღებული აქვს ალ. თვალჭრელიძის სახ. საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრემია. იგი არის სხვადასხვა ორგანიზაციის წევრი: ევროგრანტი“ (EG), „ევროპის გეომეცნიერთა კავშირი“ (EGU), „ევროპის გეოქიმიკოსთა ასოციაცია“ (EGA), „თორიუმის ენერგიის ალიანსი“ (TEA) და „მდგრადი განვითარების საერთაშორისო საზოგადოება“ (TSDS).

გასაუბრებაზე ა. ოქროსცვარიძემ ყურადღება გაამახვილა განხორციელებულ სამეცნიერო პროექტებზე, დარგში არსებულ პრობლემებზე, საერთაშორისო კავშირებზე და ლაბორატორიული ბაზის გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

შეფასება.

ა. ოქროსცვარიძე სამეცნიერო კომპონენტის მიხედვით, იმსახურებს მაღალ შეფასებას. წარმოდგენილი სასწავლო კურსების თსუ-ში არსებულ პროგრამასთან შესაბამისობითა და სილაბუსების შინაარსის მიხედვით იმსახურებს საშუალო შეფასებას. სილაბუსების შინაარსის მხრივ, დადგენილია რიგი მნიშვნელოვანი ხარვეზი. პრეტენდენტმა არ წარმოადგინა ანკეტაში მითითებული ზოგიერთი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ა. ოქროსცვარიძის კანდიდატურა ნაწილობრივ შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

გურამ ქუთელიას სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება (27 წელი) დარგის პროფილის შესაბამისია. სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაში მის მიერ წარმოდგენილია: 1. სამიეზო გეოფიზიკის ზოგადი კურსი (ელექტრონული), 2. დედამიწის ფიზიკის კურსი (ელექტრონული) და 3. მის მიერ თარგმნილი დამხმარე სახელმძღვანელო (ვ. ნ. ჟარკოვის „დედამიწისა და პლანეტების შინაგანი აგებულება“) (დამადასტურებელი დოკუმენტები თან ერთვის). კონკურსანტის გავლილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები (დოკუმენტები თან ერთვის). კონკურსანტს თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში წაკითხული აქვს ვაკანსიის პროფილის შესაბამისი 13 სალექციო კურსი. მას ანკეტაში მითითებული აქვს, რომ შეუძლია 8

სასწავლო კურსის ლექციების წაკითხვა. წარმოდგენილი აქვს სილაბუსები. პროფილის მიხედვით წარმოდგენილი სასწავლო კურსები გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსკულუმის საგნების ნუსხაში შედის. მათგან სავალდებულო კურსებია: „საძიებო გეოფიზიკის ზოგადი კურსი 1“, „საძიებო გეოფიზიკის ზოგადი კურსი 2“, „სასწავლო-საველე პრაქტიკა ზოგად გეოლოგიასა და საძიებო გეოფიზიკაში“, „პეტროფიზიკა“ (მაგისტრატურა) და არჩევითი კურსები – „დედამიწის ფიზიკა“ და „გამოყენებითი გეოფიზიკა“. შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან ერთი – „საინჟინრო გეოფიზიკის საფუძვლები“, ამჟამად თსუ-ში არ ისწავლება, თუმცა მომავალში შესაძლოა ჩართული იყოს სასწავლო პროგრამაში. ყველა სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან.

სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობის აღსანიშნავად კონკურსანტმა წარმოადგინა 8 პუბლიკაცია (2015 წლის შემდეგ); Google scholar-ის მიხედვით, მისი შრომების ციტირების ინდექსია 32, h-3, g-5; ბოლო 6 წლის განმავლობაში მას მონაწილეობა აქვს მიღებული 2 ადგილობრივ კონფერენციაში; თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. კონკურსანტმა საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოადგინა ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც პროფილის შესაბამისია.

მისი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია მკაფიოდ გამოხატავს მის სამეცნიერო პოზიციას, მიზნებსა და შეხედულებებს.

გ. ქუთელიას ბოლო 6 წელიწადში განხორციელებული აქტივობები მიუთითებს სასწავლო პროცესში მის მაღალ ჩართულობაზე. იგი არის: პროგრამის ხელმძღვანელი - საბაკალავრო პროგრამა „გეოლოგია“; თსუ აკადემიური საბჭოს წევრი; ზსმ ფაკულტეტის საბჭოს წევრი; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი; საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი; სტუდენტის მოხსენების ხელმძღვანელი; სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი; საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის თავმჯდომარე; თსუ ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

გასაუბრების დროს კონკურსანტმა აღნიშნა, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში, ძალიან შეიზღუდა გეოფიზიკური სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა, ამასთან, უკანასკნელ წლებში საკმაოდ გააქტიურდა სტიქიური გეოდინამიკური პროცესები, სახეზეა მეწყერების, ღვარცოფებისა და ეროზიული პროცესების აქტივიზაცია. მან აღნიშნა, რომ ინტერპრეტაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია ხელახლა ჩატარდეს არსებული გეოფიზიკური მასალის ანალიზი გეოლოგიურად საინტერესო უბნებზე და მცირე დანახარჯებით განახლდეს ეკოგეოფიზიკური და გეოლოგიური სურათი. მან თქვა, რომ ასეთი სამუშაოები უკვე დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს მის კათედრაზე. გარდა ამისა, გ. ქუთელიამ აღნიშნა, რომ გათვალისწინებული აქვს „დედამიწის ფიზიკისა“ და „პეტროფიზიკის“ ლექციების კურსების განახლება და ელექტრონული ფორმით გამოცემა.

შეფასება.

გ. ქუთელია პედაგოგიური გამოცდილების, უნივერსიტეტის სტრუქტურის და მართვის სისტემის ზედმიწევნით ცოდნით, წარმოდგენილი სასწავლო კურსების თსუ-ში არსებულ პროგრამასთან შესაბამისობითა და სილაბუსების შინაარსისა და დადგენილი ფორმის სრულყოფილების მიხედვით სავსებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას. იგი, თავისი დიდი გამოცდილებითა

და აქტივობებით ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას, თსუ-ს შემდგომ წინსვლას და განვითარებას.

რუსუდან ჩაგელიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურ გამოცდილება დარგის პროფილის შესაბამისია. სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაში მას მითითებული აქვს ლითოლოგია/სედიმენტოლოგიის ლექციების ელექტრონული კურსი (დამადასტურებელი საბუთი თან ერთვის). კონკურსანტს გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები (დოკუმენტი თან ერთვის). კონკურსანტს ანკეტაში მითითებული აქვს, რომ მას შეუძლია 11 სასწავლო კურსის ლექციების წაკითხვა და წარმოდგენილი აქვს ყველა სილაბუსი. წარმოდგენილი სასწავლო კურსებიდან გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსკულუმის საგნების ნუსხაში 10 კურსი შედის: სედიმენტოლოგია, მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია 1, მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია 2, ზოგადი გეოლოგია, გეოლოგიის შესავალი, სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგია, სედიმენტაციური პეტროგენეზისი, საქართველოს არალითონური საბადოები, საქართველოს ლითონური საბადოები და მეოთხეული გეოლოგია-გეომორფოლოგია“. მათ შორის 7 საბაკალავრო, ხოლო 3 სამაგისტრო საფეხურებისაა. შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან ერთი – „გეოარქეოლოგია“ თსუ-ში ამჟამად არ ისწავლება, თუმცა შესაძლოა მომავალში ჩართული იყოს სასწავლო პროგრამაში არჩევით საგნად. ყველა წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან.

სამეცნიერო –კვლევითი მიმართულებით კონკურსანტმა წარმოადგინა 15 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში და სხვა მნიშვნელოვანი 28 პუბლიკაცია (2005 წლის შემდეგ); ბოლო 6 წლის განმავლობაში მან მონაწილეობა მიიღო 23 საერთაშორისო კონფერენციაში; არის 8 საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი (წარმოდგენილი აქვს დამადასტურებელი დოკუმენტები); ანკეტის თანახმად, მისი ციტირების ინდექსებია: Web of Science – 123, h -4, Scopus – 180 h - 5, Google Scholar - 349, h - 8 და Research Gate – 333. რ. ჩაგელიშვილი თანამშრომლობს უცხოეთის 12 უნივერსიტეტთან და სამეცნიერო ცენტრთან. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ორი მაღალი სამეცნიერო მნიშვნელობის ნაშრომი, რომლებიც პროფილის შესაბამისია. ამ ნაშრომებიდან ნათლად ჩანს, რომ რ. ჩაგელიშვილი ჩართულია როგორც პეტროგრაფიულ და სედიმენტოლოგიურ, ისე სასარგებლო წიაღისეული საბადოების კვლევებში. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია მკაფიოდ გამოხატავს მის სამეცნიერო პოზიციას, მიზნებსა და შეხედულებებს.

რ. ჩაგელიშვილის მიერ წარმოდგენილია ბოლო 6 წელიწადში განხორციელებული აქტივობები: საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის წევრი; თსუ გეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს წევრი; სტუდენტების საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციებზე თემის ხელმძღვანელობა; ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი; დმანისის საერთაშორისო პალეოანთროპოლოგიური საველე სკოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი; სამხრეთ კავკასიის ბიომრავალფეროვნების რუკის (ელექტრონული და საბეჭდი ვერსია) სამეცნიერო გუნდის ლიდერი; ორი ახალგაზრდა მეცნიერის გრანტის სამეცნიერო კონსულტანტი; სხვადასხვა გამოფენების გეოლოგიური ნაწილის სამეცნიერო კონცეფციის ავტორი და მენეჯერი; მარტვილის, ცაგერის, ბორჯომის და სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული გეოლოგიური კოლექციების და ელექტრონული ბაზების ერთ-ერთი ავტორი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დოქტორანტების

სასემინარო ნაშრომისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების კომისიის წევრი; 2023 წლიდან დღემდე მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს ICOM-ის წევრი.

გასაუბრების დროს პრეტენდენტმა ისაუბრა მისი სამეცნიერო მიმართულებების შესახებ. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში პირველად ჩატარდა არქეომეტალურგიული კვლევები გეოლოგიურ კომპონენტში მისი მონაწილეობით. რ. ჩაგელიშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მის და მისი კოლეგების მიერ კაჟის ბუნებრივი გამოსავლების შესწავლის შედეგად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქვის ხანის ფონდში მისი აქტიური ჩართულობით შეიქმნა კაჟის პირველი ლითოთეკა, მონაცემთა ბაზა და ატლასი, აგრეთვე გამოსავლების რუკა. ამით, სამხრეთ კავკასია შეუერთდა ფრანგი კოლეგების მიერ შექმნილ კაჟის მონაცემთა საერთაშორისო ქსელს - PCR «Reseaux de lithotheques».

რ. ჩაგელიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, იგი, როგორც საქართველოში ახალი მიმართულებების დანერგვის ერთ-ერთი მონაწილე, გამოვთქვამს მზაობას, რომ აქტიურად გაუწიოს პოპულარიზაცია საქართველოში ახლადშემოსულ მიმართულებებს, აღზარდოს ამ სპეციალობით კადრები ამ გზით დაამკვიდროს ამ ტიპის კვლევები ქართულ გეოლოგიურ სპექტრში.

შეფასება.

რ. ჩაგელიშვილი წარმოდგენილი სასწავლო კურსების თსუ-ში არსებულ პროგრამასთან შესაბამისობითა და სილაბუსების შინაარსისა და დადგენილი ფორმის სრულყოფილების მიხედვით სავსებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას. იგი, ასევე, სამეცნიერო კომპონენტის მიხედვით მაღალ შეფასებას იმსახურებს.

ჩატარდა კენჭისყრა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის სრული შემადგენლობა – 5 წევრი. მოქმედი დებულების თანახმად კენჭისყრა იყო ფარული.

მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) 2 ვაკანტურ თანამდებობაზე კენჭისყრის შედეგების მიხედვით, ხმები განაწილდა შემდეგნაირად:

1. ოქროსცვარიძე ავთანდილი, მომხრე - 0
2. ქუთელია გურამი, მომხრე - 5
3. ჩაგელიშვილი რუსუდანი, მომხრე - 5

კომისიამ მხარი დაუჭირა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) 2 ვაკანტურ თანამდებობაზე გურამ ქუთელიას და რუსუდან ჩაგელიშვილის კანდიდატურების გამარჯვებულად გამოვლენას.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გამართლებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. კომისიის გადაწყვეტილებით ა. ოქროსცვარიძემ II კატეგორიის („პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით მიიღო შეფასება - „საშუალო“. შეფასების III კატეგორიის („სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა“) ორივე ნაწილის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“, ხოლო IV კატეგორიის („ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა“ და „დამატებითი ინფორმაცია“) ორივე ნაწილის მიხედვით ასევე „მაღალი“. ა. ოქროსცვარიძის მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში შინაარსის მხრივ, დადგენილია რიგი მნიშვნელოვანი ხარვეზი. პრეტენდენტმა არ წარმოადგინა ანკეტაში მითითებული ზოგიერთი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კომისიის დასკვნით ა. ოქროსცვარიძის კანდიდატურა ნაწილობრივ შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

გურამ ქუთელიამ II კატეგორიის მიხედვით მიიღო შეფასება - „მაღალი“, III კატეგორიის ერთი ნაწილის (ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას) მიხედვით, მიიღო შეფასება „მაღალი“, ხოლო მეორის (ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) მიხედვით კი - „საშუალო“. გ. ქუთელიას შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის - „მაღალი“. გ. ქუთელია პედაგოგიური გამოცდილების, უნივერსიტეტის სტრუქტურის და მართვის სისტემის ზედმიწევნით ცოდნით, წარმოდგენილი სასწავლო კურსების თსუ-ში არსებულ პროგრამასთან შესაბამისობითა და სილაბუსების შინაარსისა და დადგენილი ფორმის სრულყოფილების მიხედვით სავსებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას. იგი, თავისი დიდი გამოცდილებითა და აქტივობებით ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას, თსუ-ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას.

რუსუდან ჩაგელიშვილმა II კატეგორიის მიხედვით მიიღო შეფასება „მაღალი“, III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით - ასევე „მაღალი“, ხოლო IV კატეგორიის მიხედვითაც - „მაღალი“. რ. ჩაგელიშვილი წარმოდგენილი სასწავლო კურსების თსუ-ში არსებულ პროგრამასთან შესაბამისობით, სილაბუსების შინაარსისა და დადგენილი ფორმის სრულყოფილებისა და სამეცნიერო კომპონენტის მიხედვით სავსებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება დაეყრდნო, აგრეთვე, გეოლოგიის დეპარტამენტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების დღეს არსებულ საჭიროებას. კერძოდ, გეოფიზიკის მიმართულების ამჟამად პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წაკითხვას შეძლებს მხოლოდ გ. ქუთელია, რადგან სამი კონკურენტიდან მხოლოდ მას შეუძლია ამ პროფილის საგნების სწავლება, რისთვისაც მას აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მრავალწლიანი გამოცდილება. რაც შეეხება როგორც სედიმენტოლოგიის, ასევე სასარგებლო წიაღისეულის მიმართულების სასწავლო კურსებს, მათი წაკითხვა შეუძლია კონკურსანტ რ. ჩაგელიშვილს. ა. ოქროსცვარიძეს კი, როგორც თვითონ მიუთითებს ანკეტაში და გასაუბრებისას, არ შეუძლია სედიმენტოლოგიის მიმართულების საგნების სწავლება; შესაბამისად, არც ამ კურსების სილაბუსები აქვს წარმოდგენილი.

3. კომისიის გადაწყვეტილება დაეყრდნო, ასევე, მათ პიროვნულ და პროფესიულ თვისებებს, უნარ-ჩვევებსა და გუნდური მუშაობის უნარს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კომისიამ მთლიანობაში ნათლად დაინახა გ. ქუთელიასა და რ. ჩაგელიშვილის უპირატესობა.

კომისიამ დაადგინა:

1. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის 2 ვაკანტურ თანამდებობაზე სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის I და II ეტაპების შედეგების შეჯამებისა და ფარული კენჭისყრის ბიულეტენების დათვლის შედეგად, გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი კანდიდატები:

1. გურამ ქუთელია (ასოცირებული პროფესორი, „ა“ კატეგორია)
2. რუსუდან ჩაგელიშვილი (ასოცირებული პროფესორი, „ა“ კატეგორია)

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

თარიღი 13.10.2025

კომისიის წევრების ხელმოწერა:

დავით ლორთქიფანიძე (კომისიის თავმჯდომარე)

თამარ წუწუნავა (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ზურაბ ლებანიძე (კომისიის მდივანი)

ნანი ხუნდაძე (კომისიის წევრი)

ნინო ჯაფარიძე (კომისიის წევრი)

